

ციტრუსის ექსპორტის გზამკვლევი



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური



საგარეო
არაწარმო
სააგრო



სარჩევი

1. შესავალი	3
2. ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის პროცედურები	4
3. ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის პროცედურები.....	7
4. ფიტოსანიტარული სერტიფიკატის გაცემის პროცედურები	10
5. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის პროცედურები.....	15
6. ციტრუსის ექსპორტისას განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები	19
7. მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა	21



1. შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ნაბიჯები და პროცედურები, საქართველოდან ციტრუსის სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტის განსახორციელებლად. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს ექსპორტიორებსა და დაინტერესებულ პირებს, საიმპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, გაეცნონ და მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, განახორციელონ იდენტიფიცირება თუ რა სახის დოკუმენტების შეგროვებაა საჭირო და რომელ უწყებებს აქვთ აღნიშნული დოკუმენტების გაცემის უფლებამოსილება. ყოველივე ეს, საშუალებას მისცემთ თავიანთი საქმიანობა დაგეგმონ ისე, რომ მოახდინონ დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვა. ქვემოთ მოცემულია ყველა იმ ოფიციალური საბუთის შესახებ ინფორმაცია და მათი აღების პროცედურები, რომლებიც აუცილებელია ან/და აუცილებელი შეიძლება იყოს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად საქართველოდან ციტრუსის ექსპორტის განსახორციელებლად.



2. ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის პროცედურები

ჰიგიენური სერტიფიკატი - სურსათის/ტარის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ჰიგიენური დასკვნა). მისი მიღება ნებაყოფლობითია და ხორციელდება განმცხადებლის ინიციატივით.

➤ **ჰიგიენური სერტიფიკატის გამცემი სახელმწიფო უწყებები:**

- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ <https://nfa.gov.ge/>;
- ✓ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ - საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში <https://www.rs.ge/>.

➤ **ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- ✓ **განცხადება**, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს სურსათის ცალკეული კატეგორიებისათვის ცალ-ცალკე და რომელიც უნდა შეიცავდეს:
 - განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
 - სურსათის/ტარის დასახელებას, რაოდენობას;
 - დამზადების თარიღს / პარტიის ნომერს;
 - შეფუთვის სახეობას;
 - მიმღებ ქვეყანას;
 - საჭიროების შემთხვევაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.
- ✓ **აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის მიერ თითოეულ პარტიაზე და კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა უვნებლობის მაჩვენებელზე გაცემული გამოცდის ოქმის დედანი**, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
 - სურსათთან დაკავშირებული ტარის შემთხვევაში - საქართველოში არ არის შესაბამისი აკრედიტაციის მქონე საგამოცდო ლაბორატორია და განმცხადებლის მიერ ერთხელ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სხვა ქვეყნის საგამოცდო ლაბორატორიის მიერ გაცემული სურსათთან დაკავშირებული ტარის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოცდის ოქმი და უცვლელია ტარის საწარმოებლად გამოყენებული ნედლეული და საწარმო პროცესი, განმცხადებელი ოქმის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში თავისუფლდება სურსათთან დაკავშირებული ტარის სხვა პარტიაზე გამოცდის ოქმის წარმოდგენისაგან;
 - სურსათის შემთხვევაში - საქართველოში არ არის შესაბამისი აკრედიტაციის მქონე საგამოცდო ლაბორატორია სურსათის უვნებლობის კონკრეტული მაჩვენებლის კვლევაზე, განმცხადებელი თავისუფლდება ამ მაჩვენებლის კვლევის შედეგის წარმოდგენისაგან, იმ დრომდე, ვიდრე საქართველოში არსებული რომელიმე ლაბორატორია არ აითვისებს სურსათში ამ კონკრეტული მაჩვენებლის ტესტირების აკრედიტებულ მეთოდებს.

- ✓ საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ:
 - ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ამონაწერი ეკონომიკური საქმიანობის რეესტრიდან;
 - იურიდიული პირის მიერ სურსათის/ტარის არაკომერციული მიზნით ექსპორტის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ოჯახური წარმოების სუბიექტის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

- ✓ ჰიგიენური სერტიფიცირების მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა).

- ჰიგიენური სერტიფიკატის მომსახურების საფასური:
 - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო:
 - 1 სამუშაო დღე - 200 ლარი.
 - 3 სამუშაო დღე - 100 ლარი;
 - ✓ 5 სამუშაო დღე - 75 ლარი;

 - სსიპ შემოსავლების სამსახური 50 ლარი

- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:
 - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი - TRESGE22, შემოსავლის კოდი - 707507088;
 - სსიპ "შემოსავლების სამსახური"-ს მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ანგარიში/სახაზინო კოდი - 707017021.



გახსოვდეთ:

- ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემას ითხოვს ინგლისურ ენაზე, განცხადებაში განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სურსათის/ტარის დასახელება უნდა წარმოადგინოს ინგლისურ ენაზეც;

- ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაცია თარგმანის შემთხვევაში დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი;
- ჰიგიენური სერტიფიკატი არ გაიცემა თუ სურსათი/ტარა არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს ან განმცხადებელს, სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში, კრიტიკული შეუსაბამობის გამო, შეჩერებული აქვს საწარმოო პროცესი.



რეკომენდაცია:

- აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევისთვის შეგიძლიათ გადახვიდეთ ლინკზე: <https://gac.gov.ge/ka/accredited-bodies/sectors/7>;
- დაინტერესებული პირს ჰიგიენურ სერტიფიკატის აღება შეუძლია ქვეყნის მასშტაბით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრებში. <https://nfa.gov.ge/Ge/RegionalOffices>.



3. ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის პროცედურები

ჯანმრთელობის სერტიფიკატი - „მცენარეული წარმოშობის ნედლეულში ან/და მცენარეული წარმოშობის სურსათში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის და ნიტრატების შემცველობის შესაბამისობის შესახებ“ - სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ჯანმრთელობის სერტიფიკაცია ნებაყოფლობითია და ხორციელდება განმცხადებლის ინიციატივით - **მხოლოდ მოლდოვას რესპუბლიკაში ექსპორტის დროს.**

➤ **ჯანმრთელობის სერტიფიკატის გამცემი სახელმწიფო უწყებები:**

- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ <https://nfa.gov.ge/> ;
- ✓ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ - საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში <https://www.rs.ge/>.

➤ **ჯანმრთელობის სერტიფიკატის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- ✓ **განცხადება**, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
 - ბიზნესოპერატორის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - სურსათის დასახელება;
 - ტვირთის კოდი;
 - წარმოშობის ქვეყნის დასახელება;
 - ტვირთის აღწერა;
 - შეფუთული ტვირთის რაოდენობა და ტიპი, შეფუთვის სახეობა;
 - ბრუტო ან ნეტო წონა;
 - პარტიის ნომერი;
 - დატვირთვის ადგილი;
 - გადამზიდველის მონაცემები;
 - დანიშნულების ადგილი და ქვეყანა;
 - სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.
- ✓ აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სურსათის უვნებლობის (პესტიციდების ნარჩენები) მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოცდის ოქმი;
- ✓ ჰიგიენური სერტიფიკატების მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

➤ **ჯანმრთელობის სერტიფიკატის მომსახურების საფასური:**

• **სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო:**

- ✓ 1 სამუშაო დღე - 200 ლარი.
- ✓ 3 სამუშაო დღე - 100 ლარი;
- ✓ 5 სამუშაო დღე - 75 ლარი;

• **სსიპ შემოსავლების სამსახური:**

- ✓ 1 სამუშაო დღე - 100 ლარი;
- ✓ 3 სამუშაო დღე - 75 ლარი;
- ✓ 5 სამუშაო დღე - 50 ლარი.

➤ **საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:**

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი - TRESGE22, შემოსავლის კოდი - 707507088;
- სსიპ "შემოსავლების სამსახური"-ს მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ანგარიში/სახაზინო კოდი - 707017021.



გახსოვდეთ:

- ჯანმრთელობის სერტიფიკატის მისაღებად დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- ჯანმრთელობის სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაცია თარგმანის შემთხვევაში დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ჯანმრთელობის სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი;
- ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს: წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაყალბება, არასწორი ან/და არასრულყოფილი დოკუმენტაცია და გონივრულ ვადაში შეუსაბამობის აღმოუფხვრელობა ან

განმცხადებლის სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში კრიტიკული შეუსაბამობის გამო საწარმოო პროცესის შეჩერება.



რეკომენდაცია:

- აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევით შეგიძლიათ გადახვიდეთ ლინკზე: <https://gac.gov.ge/ka/accredited-bodies/sectors/7>;
- დაინტერესებული პირს ჰიგიენურ სერტიფიკატის აღება შეუძლია ქვეყნის მასშტაბით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრებში. <https://nfa.gov.ge/Ge/RegionalOffices>.



4. ფიტოსანიტარული სერტიფიკატის გაცემის პროცედურები

- **ფიტოსანიტარული სერტიფიკატი** – ფიტოსანიტარული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკატი გაცივმა მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან/ და სხვა მასალების საქართველოდან ექსპორტის/რეექსპორტის დროს, იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარული მოთხოვნების გათვალისწინებით. ფიტოსანიტარული სერტიფიცირება ხორციელდება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში.
- საქართველოდან ექსპორტის/რეექსპორტის შემთხვევაში ფიტოსანიტარული სერტიფიკატის გამცემი სახელმწიფო უწყებები:
 - ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ <https://nfa.gov.ge/>;
 - ✓ საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში - სსიპ „შემოსავლების სამსახური“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია დამუშავება ან/და ანალიზისთვის ნიმუშების აღება <https://www.rs.ge/>.
- ციტრუსის ექსპორტის/რეექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკატის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
 1. ფიტოსანიტარული სერტიფიცირების მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი;
 2. შევსებული განაცხადი;
 3. იურიდიული პირების შემთხვევაში, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ეკონომიკური საქმიანობის რეესტრიდან;
 4. ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 5. რეექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკატის მისაღებად - წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურების მიერ გაცემული ფიტოსანიტარული სერტიფიკატი ან მისი დამოწმებული ასლი.
- დაინტერესებული პირის განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს:
 - საქონლის თანხმლები დოკუმენტაციის შემოწმება;
 - ზედამხედველობა;
 - ინსპექტირება;
 - ექვის არსებობის შემთხვევაში, ნიმუშების აღება ანალიზისთვის;
 - დამუშავება.

➤ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომსახურების საფასური:

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომსახურების საფასური ექსპორტის ან/და რეექსპორტის დროს ფიზიკური შემოწმების გარეშე:
 - ✓ 5 სამუშაო დღე - 50 ლარი;
 - ✓ შაბათ-კვირა ან უქმე დღე - 200 ლარი.
- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომსახურების საფასური ექსპორტის ან/და რეექსპორტის დროს ტვირთის ინსპექტირებით:
 - ✓ 5 სამუშაო დღე - 120 ლარი;
 - ✓ შაბათ-კვირა ან უქმე დღე - 200 ლარი.
- სსიპ შემოსავლების სამსახურის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომსახურების საფასური ექსპორტის ან/და რეექსპორტის დროს ფიზიკური შემოწმების გარეშე:
 - ✓ 5 სამუშაო დღე - 25 ლარი;
 - ✓ შაბათ-კვირა ან უქმე დღე - 100 ლარი.
- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომსახურების საფასური ექსპორტის ან/და რეექსპორტის დროს ტვირთის ინსპექტირებით:
 - ✓ 5 სამუშაო დღე - 85 ლარი;
 - ✓ შაბათ-კვირა ან უქმე დღე - 200 ლარი.

➤ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი - TRESGE22, შემოსავლის კოდი - 707507088;
- სსიპ "შემოსავლების სამსახური"-ს მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ანგარიში/სახაზინო კოდი - 707017021.



რეკომენდაცია:

- დაინტერესებულმა პირმა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნისა და ფიტოსანიტარიული პროცედურების ჩატარების შესახებ დოკუმენტის (განაცხადი) ასევე საბანკო რეკვიზიტების, ექსპორტის პროცედურებისა და იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურს ან/და რეგიონულ სამმართველოებს. <https://nfa.gov.ge/Ge/RegionalOffices>;
- რიგ შემთხვევებში ექსპორტიორმა წინასწარ უნდა დააზუსტოს/მოიძიოს ტვირთის მიმღების საშუალებით კონკრეტული ტვირთის მიმართ იმპორტიორი ქვეყნის სპეციფიკური ფიტოსანიტარიული მოთხოვნები.



გახსოვდეთ:

- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ექვსის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის პასუხი იქნება უარყოფითი;
- უფლებამოსილი პირი ტვირთის ფიზიკური შემოწმებას ატარებს ტვირთის მდებარეობის ადგილზე და გასცემს ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს/რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს ან უარს აცხადებს გაცემაზე;
- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა, თუ ტვირთი არ პასუხობს იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს ან/და განმცხადებელს სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში, კრიტიკული შეუსაბამობის გამო, შეჩერებული აქვს საწარმოო პროცესი, რომელიც უკავშირდება ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელს;
- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დაკარგვის, დაზიანების, მისამართის, დანიშნულების ქვეყანაში შეტანის პუნქტის შეცვლის, საექსპორტოდ განკუთვნილი ტვირთის მიერ ქვეყნის დატოვებამდე სატრანსპორტო საშუალების გამოცვლის, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შევსებისას ინფორმაციის გამოტოვების ან ინფორმაციის არასწორად შეტანის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ახალი განცხადება და ახალი გადახდის ქვითარი რის საფუძველზეც შესაძლებელია ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შეცვლა გამცემი ორგანოს მიერ. გამცემ ორგანოს ექსპორტიორის მიერ უზრუნველყოფილი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალი და დამოწმებული ასლები;
- სერტიფიკატის გაცემიდან ტვირთის ქვეყნის ტერიტორიიდან გატანა უნდა მოხდეს 14 კალენდარული დღის ვადაში, ქვეყნის ტერიტორიიდან ტვირთის გატანის ვადის

განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის თარიღი.

➤ დამატებითი მოთხოვნები დსთ-ს ქვეყნებისთვის

- ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნებია: რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი;
- აღნიშნულ ქვეყნებში ციტრუსის ექსპორტის სავალდებულო მოთხოვნები რეგულირდება «Подкарантинная продукция соответствует требованиям Решения Совета Евразийской экономической комиссии № 157 от 30.11.2016 (таблица 4, пункт 6)» https://www.ggiskzr.by/archive/inspection_quarantine_plants/cncd_06032017_157.pdf.

დადგენილების შესაბამისად. კერძოდ:

- ✓ ციტრუსის ყოველი შეფუთვა აუცილებელია იყოს მარკირებული რუსულ/ინგლისურ ენაზე. შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს: პროდუქტის დასახელება, ბოტანიკური დასახელება ლათინურად, წარმოშობის ქვეყანა და ადგილი, ექსპორტის ქვეყანა (ქვეყნები), ტვირთის გამგზავნის და მიმღების მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი, საფოსტო მისამართი;



მნიშვნელოვანია:

- ✓ ციტრუსის ნაყოფი თავისუფალი უნდა იყოს ევრაზიული კავშირის ნუსხით განსაზღვრული საკარანტინო ფარიანებისა და ცრუფარიანებისაგან.



გახსოვდეთ:

- საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე აკრძალულია ევრაზიული ეკონომიკური კომისიის ერთიანი საკარანტინო ნუსხით განსაზღვრული საკარანტინო მავნე ორგანიზმებით დასნებოვნებული ციტრუსის გადაადგილება;
- ევრაზიული კავშირის წევრს სახელმწიფოებში ციტრუსის და ზოგადად მცენარეული წარმოშობის ტვირთის ექსპორტისათვის ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცივმა ერთი სერტიფიკატი;
- ციტრუსის მარკეტინგული მოთხოვნები წინასწარ უნდა შეთანხმდეს იმპორტიორი ქვეყნის შესაბამის სამსახურთან;
- ციტრუსის ექპორტირების დროს გამოყენებული შესაფუთი ხის მასალა, დამუშავებული და მარკირებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბერის №477 ტექნიკური რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის

რეგულირების წესის“ ან/და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტის – ISPM 15 „სახელმძღვანელო საერთაშორისო ვაჭრობაში ხის შესაფუთი მასალის რეგულირებისათვის“ შესაბამისად. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ისარგებლოთ შესაფუთი ხის მასალის მწარმოებელთა რეესტრით <https://nfa.gov.ge/Ge/Page/List%20of%20business%20operators%20producing%20wrapping%20wood>;

- მიზანშეწონილია, ექსპორტიორმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენლმა, ექსპორტის განხორციელებამდე მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტს ან მის რეგიონულ ოფისებს, რათა დააზუსტოს ევრაზიულ კავშირის წევრ სახელწიფოებში ციტრუსის ექსპორტის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს.

➤ დამატებითი მოთხოვნები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის

- ევროკავშირში ციტრუსის ექსპორტის სავალდებულო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს „COMMISSION IMPLEMENTING REGULATION (EU) 2019/2072 of 28 November 2019“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. <https://www.legislation.gov.uk/eur/2019/2072>.



5. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის პროცედურები

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი - საქონლის აღწერის განსაზღვრული ფორმის დოკუმენტი, რომლითაც მისი გაცემისთვის უფლებამოსილი ორგანო ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქონელი, რომელზეც გაცემულია ეს სერტიფიკატი, წარმოშობილია მოცემული ქვეყნიდან. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული (შეღავათიანი) და არაპრეფერენციული (შეღავათების გარეშე).

- **პრეფერენციული წარმოშობა** ადგენს გარკვეულ სატარიფო უპირატესობებს - იმპორტის გადასახადის შემცირებულ ან ნულოვან განაკვეთს საქონლისთვის, რომელიც ვაჭრობის საგანს წარმოადგენს პრეფერენციული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის. პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის წესები, პრეფერენციული წარმოშობის კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი სართაშორისო ხელშეკრულებებითა და რეგულაციებით.
 - ✓ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის (პრეფერენციული) რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, უკრაინასთან, თურქეთის რესპუბლიკასთან, ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებთან (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ჰონგ-კონგ, ჩინეთთან, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.

საქართველო წარმოადგენს აშშ-ს, კანადის და იაპონიის „პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის“ (GSP) ბენეფიციარ ქვეყანას. აღნიშნული სისტემის ფარგლებში საქართველოში წარმოშობილი გარკვეული კატეგორიის პროდუქცია ცალმხრივად სარგებლობს შეღავათით (პრეფერენციით) მითითებულ ქვეყნებში იმპორტისას. საქონლის ჩამონათვალი, რომელზეც ვრცელდება პრეფერენცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულებზე:

ამერიკა: <https://ustr.gov/issue-areas/trade-development/preference-programs/generalized-system-preferences-gsp/gsp-program-i-0>

იაპონია: <https://www.mofa.go.jp/policy/economy/gsp/explain.html#:~:text=GSP%20provides%20benefits%20to%20developing,effective%20until%20March%2031%2C%202031.>

კანადა: <https://unctad.org/publication/gsp-handbook-scheme-canada#:~:text=Canada%C2%B4s%20General%20Preferential,expire%20on%2031%20December%202024>

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას გაიცემა შემდეგი სახის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატები:
 - ✓ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 - ქართული წარმოშობის საქონლის დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტისას;
 - ✓ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 (იგივე გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1) - ქართული წარმოშობის საქონლის ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთის რესპუბლიკაში, EFTA-ს სახელმწიფოებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და უკრაინაში ექსპორტისას;
 - ✓ საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა «A» - გაიცემა ქართული წარმოშობის გარკვეული საქონლის აშშ-ს, კანადასა და იაპონიაში ექსპორტისას;
 - ✓ „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2017 წლის 13 მაისის შეთანხმებით გათვალისწინებული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი (წარმოშობის სერტიფიკატი ჩინეთი) - ქართული წარმოშობის საქონლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ექსპორტისას;
 - ✓ „საქართველო-ჰონგ-კონგის, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2018 წლის 28 ივნისის შეთანხმებით გათვალისწინებული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი (წარმოშობის სერტიფიკატი ჰონგ-კონგი) - ქართული წარმოშობის საქონლის ჰონგ-კონგ ჩინეთში ექსპორტისას.
 - ✓ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის „ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ“ 2023 წლის 10 ოქტომბრის შეთანხმებით გათვალისწინებული წარმოშობის სერტიფიკატი (წარმოშობის სერტიფიკატი არაბეთი) ქართული წარმოშობის საქონლის არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ექსპორტისას.

- საქართველოში საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების გამცემი უწყებებია:
 - ✓ სსიპ – შემოსავლების სამსახური;
 - ✓ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.



გახსოვდეთ:

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა გასცემს მხოლოდ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატ CT-1-ს, ფორმა «A»-ს და საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატს;
- თუ წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ, სერტიფიკატის გაცემისათვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის www.rs.ge-ს საშუალებით;
- CT-1 სერტიფიკატის მისაღებად შემოსავლების სამსახურში განცხადების წარდგენა ხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით გადამხდელის ავტორიზებული გვერდიდან (www.rs.ge). სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტსა და გაფორმების ადგილას, ასევე მომსახურების დეპარტამენტის ნებისმიერ სერვისცენტრში.

➤ ციტრუსის ექსპორტზე წარმოშობის სერტიფიკატის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტებია:

- განცხადება (უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის ოთხნიშნა (ფორმა A-ს შემთხვევაში თერთმეტნიშნა) დონეზე მითითებით, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას);
- დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ, საქართველოს მთავრობის N453 დადგენილების N4 დანართის შესაბამისად;
- ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი);
- საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ, საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნით, შესაძლებელია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტი, როგორცაა საქონლის ფიზიკური პირებისგან შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი („შესყიდვის აქტი“), ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, მუნიციპალიტეტის ცნობა ადგილწარმოშობის შესახებ და სხვ.



გახსოვდეთ:

- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ექსპორტიორის განცხადების საფუძველზე გაიცემა „დუბლიკატი“. დუბლიკატის მოქმედების ვადა აითვლება ორიგინალი სერტიფიკატის გაცემის თარიღიდან;
- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა შესაძლებელია საქონლის ექსპორტირების შემდეგაც (რეტროსპექტიულად). ამ შემთხვევაში სერტიფიკატის გამცემ ორგანოს დამატებით წარედგინება საქონლის ექსპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგ., ექსპორტის დეკლარაცია;
- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს **3 სამუშაო დღისა**;
- შემოსავლების სამსახურის მიერ სერტიფიკატი გაიცემა უფასოდ.



6. ციტრუსის ექსპორტისას განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები

- **საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:**
 - ✓ ინვოისი;
 - ✓ სატრანსპორტო დოკუმენტი (ტრანსპორტირების სახეობის შესაბამისად, CMR, კონოსამენტი, ავიაზედნადები, სარკინიგზო ზედნადები);
 - ✓ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;
 - ✓ წარმოშობის სერტიფიკატი (ექსპორტიორის მოთხოვნის შემთხვევაში);

- ექსპორტის პროცედურაში მოქცევა ხდება ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რომელიც შესაძლებელია შეივსოს საბაჟო ორგანოს მიერ, ან თავად ბიზნესოპერატორის მიერ, საბაჟო დეპარტამენტის მიერ “eCustoms”-ში დაშვების უფლების მონიჭების შემთხვევაში;
- ბიზნესოპერატორის სურვილის შემთხვევაში, საბაჟო ფორმალობების განხორციელება შესაძლებელია როგორც წინასწარ, ასევე არაწინასწარ;
 - ✓ **წინასწარი დეკლარირება** - ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხდება წინასწარ, სატრანსპორტო საშუალების გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (შემდგომში-გეზი) ან საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე. ამ შემთხვევაში დეკლარაციას ენიჭება რეგისტრაციის C ნომერი, ხოლო გაფორმების პროცედურები სრულდება საბაჟო გამშვებ პუნქტში სატრანსპორტო საშუალების გამოცხადებისას. ამ შემთხვევაში საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია შეივსოს;
 - ა) საბაჟო ორგანოს მიერ, www.rs.ge-ს ელექტრონული სერვისების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ბიზნესოპერატორი თავისი სამომხმარებლო გვერდიდან ტვირთავს საჭირო დოკუმენტაციას მოდულში- „განცხადებები“ -> „ახალი განცხადების რეგისტრაცია“ -> „წინასწარი დეკლარირება - ექსპორტი“ და მისი მოთხოვნის საფუძველზე რეგისტრირდება საბაჟო დეკლარაცია;
 - ბ) ბიზნესოპერატორის მიერ, “eCustoms”-ში დაშვების უფლების არსებობის შემთხვევაში;
 - ✓ **არაწინასწარი დეკლარირება** - ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო საშუალება გამოცხადდება გეზში ან საბაჟო საწყობში. საბაჟო გაფორმების პროცედურები იწყება და სრულდება ადგილზე. საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია შეივსოს;
 - ა) საბაჟო ორგანოს მიერ, ბიზნესოპერატორის მიერ მატერიალურად წარდგენილი საბუთების საფუძველზე;

ბ) საბაჟო ორგანოს მიერ, გეზის ელექტრონული სერვისების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ბიზნესოპერატორი თავისი სამომხმარებლო გვერდიდან ტვირთავს საჭირო დოკუმენტაციას „განცხადებები“ -> „არაწინასწარი დეკლარირება - ექსპორტი“ მოდულში;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ, “eCustoms”-ში დაშვების უფლების არსებობის შემთხვევაში;



გახსოვდეთ:

- წინასწარი დეკლარირებისას სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო ლუქები დაიდება საბაჟო გამშვებ პუნქტში;
- არაწინასწარი დეკლარირებისას სატრანსპორტო საშუალებაზე ლუქები დაიდება გეზში;
- სატრანსპორტო საშუალებაში არსებული საქონლის მონაცემები (რაოდენობა და სხვა მახასიათებლები) უნდა შეესაბამებოდეს თანხლებ საბუთებსა და საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის მონაცემებს;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ექსპორტში დეკლარირებული საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტს უნდა წარედგინოს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;
- წინასწარი დეკლარირება იძლევა ექსპორტის ოპტიმალურ ვადებში განხორციელების საშუალებას და ამცირებს გაფორმების პროცესში შესაძლო შეფერხებების რისკს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მალფუჭებადი პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში.



7. მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №427 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს მთავრობის 31 იანვრის №59 2011 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 157 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო საზღვარზე და საბაჟო ტერიტორიაზე კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ობიექტების მიმართ წაყენებული ერთიანი საკარანტინო ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“;
- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 158 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი საკარანტინო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 159 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე მცენარეთა კარანტინის უზრუნველყოფის ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბერი №477 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის №674 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 157 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო საზღვარზე და საბაჟო ტერიტორიაზე კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ობიექტების მიმართ წაყენებული ერთიანი საკარანტინო ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ;

- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 158 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი საკარანტინო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
- ევრაზიული ეკონომიკური კომისიის საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 159 გადაწყვეტილება „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე მცენარეთა კარანტინის უზრუნველყოფის ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბერი №477 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის №674 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის წესი“;
- საქართველოს საბაჟო კოდექსი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“;

გზამკვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია 2024 წლისთვის
მოქმედი კანონმდებლობით